ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6989851

ნომერი: AR11025044

თარიღი : 22.03.2024

გაცემის თარიღი : 18.04.2024

გაცნობის თარიღი : 19.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ევგენი მიქელაძის ქუჩა N9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქრისტინა შარაშენიძე პ/ნ 17001029677
- ვანი ს. ტობანიერი 1–ლი ქ. N 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 22 მარტს №AR11025044 განცხადებით მომართა ქრისტინა შარაშენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 16

ივნისის №5986748 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებით №01.13.03.023.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №3/3108-20) აღსრულების ფარგლებში შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 29 ივნისის №6010147 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 29 ივნისიდან 2026 წლის 29 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 15 იანვრის №6841498 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 12084.4 კვ.მ., კომერციულ ფართობად 753.8 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1261.6 კვ.მ. სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა №AR11005601 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ განმცხადებელი, განმარტავს, რომ სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურული გეგმებზე გამოტანილ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გრაფაში რამდენიმე ბინის საზაფხულო ფართობი არასწორად იქნა მითითებული, რამაც ასევე გამოიწვია ჯამური (საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები) ფართობების არასწორად მითითება. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმებს და დაადგინა, რომ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ მაჩვენებლების ცხრილში მითითებული საზაფხულო და საცხოვრებელი ფართობების ჯამური კვადრატულობების დაზუსტება. ამასთან, წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებაში დაფიქსირებული საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების გასწორებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
მდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა, -3.10, 0.00, +40.05 და +42.70 ნიშნულების არქიტექტურული გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5986748 და სამსახურის 2024 წლის 15 იანვრის №6841498 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.